უძრავი ნივთის ნასყიდობის

ხელშეკრულება

N

ქ. თბილისი --- ---------- 2019 წ.

ერთის მხრივ, შპს ,,საქართველოს ფოსტა” (ს/კ.:203836233) შემდგომში – ,,გამყიდველი”, წარმოდგენილი ---------- სახით, და მეორეს მხრივ, ---------- ---------- შემდგომში - „მყიდველი“, (ელექტრონული აუქციონის გამარჯვებული), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს ,,საქართველოს ფოსტის” საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ---------- შენობა-ნაგებობა ფართით ---------- კვმ და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით N --------- (შემდგომში - ნასყიდობის საგანი).

მუხლი 3. ნასყიდობის საგნის ღირებულება და გადახდის წესი

3.1. სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 13.03.2019წ. № 5/14714 წერილის თანახმად, გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონზე (აუქციონის განაცხადის N ------; ლოტის N ---------) ნასყიდობის საგანი გაყიდულ იქნა ---------- ლარად. მყიდველმა ელექტრონულ აუქციონზე მონაწილეობისთვის გადაიხადა აუქციონის ,,ბე”-ს საფასური ---------- ---------- ლარი რომელიც საბოლოო ანგარიშსწორებისას „მყიდველს“ ეთვლება ნასყიდობის საგნის ღირებულების გადახდის საფასურში. მყიდველმა აუქციონის პირობით გათვალისწინებულ ვადებში სრულად გადაუხადა გამყიდველს ნასყიდობის საგნის მთლიანი საფასურის დარჩენილი თანხა ---------- ლარის ოდენობით;

3.2. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთვის „მყიდველმა“ წარუდგინა „გამყიდველს“ ნასყიდობის საგნის ღირებულების სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულება

4.1. ,,მყიდველი” ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, ,,გამყიდველისაგან” საკუთრებაში გადაცემული ნასყიდობის საგანი (უძრავი ნივთი) საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრებაში დაირეგისტრიროს თავისი ხარჯებით.

4.2. „მყიდველი“ ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით მოახდინოს კომუნალური აბონენტების გადმოფორმება საკუთარ სახელზე.

მუხლი 5. დავების განხლვა

5.1. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. მხარეთა შორის არსებული პრეტენზიები და დავები წყდება ურთიერთშეთანხმებით, ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო.

მუხლი 6. ფორს მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით.

მუხლი 7. დამატებითი პირობები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება გამყიდველთან, მეორე – მყიდველთან, მესამე – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

მუხლი 8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„გამყიდველი“ „მყიდველი“

შპს „საქართველოს ფოსტა“